ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2340092

ნომერი: AR1362520

თარიღი : 08.12.2015

გაცემის თარიღი : 11.12.2015

გაცნობის თარიღი : 11.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი ჯიქიას ქ.#7 სადარბაზო I სართული 5 ბინა 16; ქ.თბილისი ჯიქიას ქ.#7 სადარბაზო I სართული 5 ბინა 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ეგუტია პ/ნ 19001063382
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 105 ბ. 43

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია,, საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და შენობა რომელზეც დაგეგმილი გაქვთ აივნის მოწყობა არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობა, რომლის ფასადის რეკონსტრუქცია, ცვლილება, მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას, აღნიშნულის გამო არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით მისი განვითარება შესაძლებლად არ მიაჩნია, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იერსახის გაუმჯობესების მიზნით უნდა მოხდეს ესკიზის ხელახალი გადამუშავება და მისი შემდგომი მშენებლობითი პროცესი უნდა განისაზღვროს არსებული შენობის ერთიანი იერსახის გათვალისწინებით, რისთვისაც წარმოსადგენი გექნებათ განახლებული ფოტომონტაჟი
ერთიანი ესკიზის ფოტომონტაჟის საფუძველზე მთელს ჰორიზონრალურ ზოლში საჩრდილობლების მოწყობით ხოლო წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" დეტალურად ასახეთ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია ;

2გაითვალისწინეთ ვინაიდან შენობა ახლად აშენებულია, წარმოსადგენი გექნებათ პროექტის ავტორის თანხმობა წარმოდგენილი სახით რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე, რაც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების" ველში ;

3".არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს ფაილში აიტვირთოს ახალი შედარებით შორი ხედიდან გადაღებული სურათები მთლიანი შენობის ფიქსაციით თქვენი ფასადის არეალის მონიშვნით ;

4 "ფოტომონტაჟი"–ს ველში აიტვირთოს არსებულ სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით მასალისა დაფაქტურის მითითებით და დეტალური ზომეის მითითებით ;

საჭიროების შემთხვევაში , დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.